



მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

თარიღი: 4 ნოემბერი, 2015 წელი

შეხვედრის ადგილი: ელკანას ოფისი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - ლიბერალური აკადემია, პლატფორმის თავმჯდომარე
2. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ეროვნული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
3. ირაკლი ქასრაშვილი - "Mercy Corps", დირექტორი
4. ლელა ბერძული - ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
5. ნათელა გიუნაშვილი - ასოციაცია - საზოგადოება განვითარებისთვის
6. მაკა გიგაური - ჯუნიორ ექივმენტი საქართველო
7. ნანა ნაზაროვა - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
8. ნინო სურგულაძე - ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება
9. ზვიად ელიზიანი - საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშემწყობის ცენტრი
10. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია „ქალი და ბიზნესი“
11. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
12. მარიამ ჯორჯაძე - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
13. ელენე შატბერაშვილი - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
14. ინკენ ადრიანი - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
15. ლიკა სანიკიძე - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
16. მიხეილ პაკაცოშვილი - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
18. მარიკა კაპანაძე - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
19. ვახტანგ ღლონტი - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
20. მანანა წულაია - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“, მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი

განსახილველი საკითხი:

- ❖ „გაეროს სასურსათო უსაფრთხოების კომისიის (CFS) სამოქალაქო საზოგადოების მექანზიმი (CSM) და მისი პრიორიტეტები 2016 წელს“, მომხსენებელი ელენე შატბერაშვილი, „ელკანას“ პროექტების განყოფილების ხელმძღვანელი

შეხვედრა გახსნა „ელკანას“ დირექტორმა, მარიამ ჯორჯაძემ, რომელმაც გამოთქვა მზაობა მომავალშიც უმასპინძლოს ეროვნული პლატფორმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრებს.

ქ-მა მარიამმა ასევე ისაუბრა ქვეყანაში სასურსათო უსაფრთხოების ეფექტური პოლიტიკის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ბ-ნი ლაშა ტულუში შეხვედრის მონაწილეებს ესაუბრა იმ ინსტრუმენტებზე და შესაძლებლობებზე რასაც ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი საკითხების აქტუალიზაციისათვის ფლობს პლატფორმა.

მისასალმებელი სიტყვების შემდეგ „ელკანას“ პროექტების განყოფილების ხელმძღვანელმა (რომელიც ასევე არის გაეროს სასურსათო უსაფრთხოების კომისიის სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმის (CSM) საკოორდინაციო კომისიის წევრი აღმოსავლეთ ევროპის რეგიონიდან), ელენე შატბერაშვილმა წარმოადგინა ინფორმაცია გაეროს სასურსათო უსაფრთხოების კომისიისა (CFS) და მისი სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმის (CSM) შესახებ.

გაეროს სასურსათო უსაფრთხოების კომისია დაარსდა 1974 წელს, როგორც ინკლუზიური საერთაშორისო და სამთავრობოთაშორისო პლატფორმა, რომლის ფუნქციაა მსოფლიოში სასურსათო უსაფრთხოების და ნუტრიციის კუთხით არსებული მდგომარეობის მიმოხილვა და სარეკომენდაციო პოლიტიკის შემუშავება, კოორდინირებული ზრუნვა სასურსათო უსაფრთხოებისა და ნუტრიციის მისაღწევად, როგორც მოკლევადიანი კრიზისების, ისე გრძელვადიანი სტრუქტურული საკითხების დასაძლევად. ე. შატბერაშვილმა ასევე ისაუბრა გაეროს სასურსათო უსაფრთხოების კომისიის სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმზე, რომელიც ფუნქციონირებს 2010 წლიდან და რომლის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ფასილიტაცია სოფლის მეურნეობის, სასურსათო უსაფრთხოებისა და ნუტრიციის პოლიტიკის ფორმირებაში საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე, CFS-ს მეშვეობით.

მომხსენებელმა აღნიშნა რომ, გაეროს სასურსათო უსაფრთხოების კომისიაში (სადაც თვითოეულმა სახელმწიფომ თავად უნდა განაცხადოს მონაწილეობის სურვილი) გაწევრიანებულია 139 ქვეყანა. თუმცა საქართველო დღემდე არ არის აღნიშნული კომისიის წევრი.

პრეზენტაციის შემდეგ დისკუსია გაიმართა გაეროს სასურსათო უსაფრთხოების ფურუმში საქართველოს ჩართულობის საჭიროებაზე, რათა ჩვენი ქვეყანა გახდეს სასურსათო უსაფრთხოებისა და ნუტრიციის რეგიონული და გლობალური სტრატეგიული ჩარჩო დოკუმენტების შემუშავების პროცესების მონაწილე, ჰქონდეს უახლეს ინფორმაციებზე ხელმისაწვდომობა და საუკეთესო გამოცდილების გაზიარების საშუალება.

ამჟამად, სოფლის მეურნეობის სამინისტრო სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია 2015-2020-ის მიხედვით გეგმავს მთელი რიგი ღონისძიებების გატარებას - ნატურალურ მეურნეობების დახმარება რისკის შემცირების კუთხით, ნატურალური მეურნეობების კომერციალიზაციის პროცესის ხელშეწყობა, სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგი, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა შემოსავლების ზრდის უზრუნველსაყოფად სპეციალური პროგრამების შემუშავება, რაც რასაკვირველია, გაზრდის საკმარის და ჯანსაღ საკვებზე

მოსახლეობის ხელმისაწვდომობას, თუმცა სასურსათო უსაფრთხოებისა და ნუტრიციის სტრატეგიული ჩარჩო დოკუმენტის შემუშავებაზე სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია კონკრეტულ ინფორმაციას არ იძლევა.

შეხვედრაზე აღინიშნა რომ, სასურსათო უსაფრთხოება კომპლექსური საკითხია, და მისი უზრუნველყოფა სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვისა და განათლების სისტემების ურთიერთკოორდინაციას მოითხოვს. აღნიშნულ საკითხში წამყვანი როლი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ენიჭება და ამდენად, მისი გაწვევრიანება გაეროს სასურსათო უსაფრთხოების კომისიაში მეტად მნიშვნელოვანია, რაც სამინისტროს მისცემს საშუალებას მიიღოს ექსპერტული დახმარება, ჩართული იყოს სასურსათო უსაფრთხოების გლობალურ დისკუსიაში და გახდეს „მულტისტეიქჰოლდერ“ პლატფორმის ნაწილი, რაც აუცილებელია ქვეყანაში სწორი სასურსათო პოლიტიკის გასატარებლად.

შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს წინადადებას რეკომენდაცია გაეწიოს საქართველოს მთავრობას გაეროს სასურსათო უსაფრთხოების კომისიაში გაწვევრიანებისათვის. ამასთან დაკავშირებით მომზადდება მიმართვის ტექსტი რომელიც ხელმოწერებისათვის გავრცელდება ეროვნულ პლატფორმაზე და შემდეგ გადაეგზავნება საქართველოს მთავრობას.